**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის**

**სხდომის ოქმი**

**N5**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2

26.12.2017

***დიმიტრი ყიფიანის სახელობის სხდომათა დარბაზი***

12:00 საათი

მიმდინარე წლის 26 დეკემბერს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართება.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: გიორგი ჩაკვეტაძე (კომისიის თავმჯდომარე), დავით ჭელიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი) და დავით რურუა (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 6 (ექვსი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **გიორგი ჩაკვეტაძე.**

**სხდომის დღის წესრიგი:**

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტის განხილვა (12-031735686-03, 22.12.2017), (**მომხსენებელი** - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე);

*ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.*

[illegible] ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო, განათლებისა და კულტურის, სარევიზიო, სატრანსპორტო საკითხთა, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლოტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე -ირაკლი ზარქუა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა კომისიის წევრებს და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს.

**მოისმინეს:**

**გაიოზ თალაკვაძე**-მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარმოადგინა 2017 წლის ბიუჯეტის ცვლილებები. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ძირითადად ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში მეტროპოლიტენის სადგურების კაპიტალური შეკეთებისა და ვაგონების მოდერნიზებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი 14 000,0 ათასი ლარის ბიუჯეტში ასახვის მიზნით. ამასთან, ფაქტიურად მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით იზრდება სხვა შემოსავლები სულ 10 307,6 ათასი ლარით, მათ შორის, მოსაკრებელი სპეციალური შეთანხმების გაცემისათვის 8 225,6 ათასი ლარით, შემოსავალი სანქციებიდან– 482.9 ათასი ლარით და პროცენტები - 1 599,1 ათასი ლარით. წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 24 307,6 ათასი ლარით და შეადგენს 843 134,5 ათას ლარს.

ასევე შიდა ეკონომიის რესურსმა შეადგინა 9 761,6 ათასი ლარი, ასიგნებები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე, იზრდება: საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) 18 230,7 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) 6 300,0 ათასი ლარით, მათ შორის გათვალისწინებულია თანამშრომელთათვის ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით საახალწლო პრემია 1 732,1 ათასი ლარი, ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების ასიგნებები იზრდება 340,7 ათასი ლარით 2017-2018 წლის საახალწლო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობის (კოდი 07 01 02) ასიგნებები - 9 000,0 ათასი ლარით, მათ შორის გათვალისწინებულია ბაგა-ბაღების თანამშრომლებისთვის საახალწლო პრემია 3,2 მლნ ლარი; სარეზერვო ფონდის (კოდი 10 22) მოცულობა იზრდება 150,0 ათასი ლარით.

სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მომხსენებელმა და შესაბამისმა საქალაქო სამსახურების უფროსებმა ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრების მიერ დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს.

**აზრი გამოთქვეს:**

**გიორგი ჩაკვეტაძე**- სპორტისა და ახალაზრდული მიმართულებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებითი ცვლილებები არ გახლავთ, კლება მიზერულია, სახეზეა სატენდერო ეკონომიებით გამოწვეული მდგომარეობა. ყველა მნიშვნელოვანი პროექტი, რომელიც ვერ დასრულდა მიმდინარე წელს გრძელდება. ასევე სპორტული მიმართულებით გამგეობებზე გადასული ფუნქცია, რომელიც გარე მოხმარების ფიტნეს-ტრენაჟორებს და სხვა სპორტულ მოედნებს მოიცავს, უკვე მისამართების მიხედვით ასახულია 2018 წლის ბიუჯეტში, როგორც ის ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები, რაც თბილისის მასშტაბით უნდა განხორციელდეს.

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა** ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი. (მომხრე -გიორგი ჩაკვეტაძე, დავით ჭელიძე, ავთანდილ ცინცაძე, ლევან ჯაფარიძე, შალვა ოგბაიძე, დავით რურუა, წინააღმდეგი - **0**, თავი შეიკავა - **0**);

**ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს:**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის N30-87 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" დადგენილების პროექტი გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

**სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.**

გიორგი ჩაკვეტაძე

სხდომის თავმჯდომარე